№1421 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა პროექტ „ბათუმი ჰიტ სეზონი - 2015-ის“ განხორციელებისათვის საჭირო 1 086 852 (ერთი მილიონ ოთხმოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდათორმეტი) ლარის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის

დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მომსახურების ნაწილის (მონაწილეთა ჰონორარები/უცხოელი შემსრულებლები - 893 432 (რვაას ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხას ოცდათორმეტი) ლარი) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

3. სსიპ – კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდსა და ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრს შორის 2015 წლის 25 ივნისს გაფორმებული №89 ხელშეკრულების მიმართ (1 086 852 (ერთი მილიონ ოთხმოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდათორმეტი) ლარი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**